აფხაზეთის სტატუსი

მუხლი 1. აფხაზეთი არის საქართველოს შემადგენელი და განუყოფელი ნაწილი, რომელიც დამოუკიდებლად წყვეტს საქართველოს კონსტიტუციით, აფხაზეთის კონსტიტუციითა და ამ კანონით მის კომპეტენციას მიკუთვნებულ საკითხებს.

მუხლი 2. აფხაზეთს გააჩნია საკუთარი კონსტიტუცია, რომელიც უნდა შეესაბამებოდეს საქართველოს კონსტიტუციას.

მუხლი 3. აფხაზეთის ხელისუფლების უმაღლესი ორგანოებია: უმაღლესი საბჭო, მთავრობა, უმაღლესი სასამართლო

მუხლი 4. აფხაზეთს აქვს საკუთარი ჰიმნი, დროშა და გერბი, რომელთა მიღების წესს განსაზღვრავს აფხაზეთის კონსტიტუცია.

მუხლი 5. აფხაზეთში სახელმწიფო ენებია: ქართული და აფხაზური

მუხლი6. აფხაზეთის ტერიტორიაზე სახელმწიფო ხელისუფლებას, გარდა იმ საკითხებისა, რომელნიც საქართველოს კონსტიტუციის მე-3 მუხლის შესაბამისად საქართველოს უმაღლეს სახელმწიფო ორგანოთა განსაკუთრებულ გამგებლობას მიეკუთვნება ახორციელებენ აფხაზეთის ხელისუფლების უმაღლესი ორგანოები.

მუხლი 7. საქართველოს სახელმწიფოსა და აფხაზეთის ხელისუფლებათა ნორმატიული აქტების შესაბამისობას საქართველოს კონსტიტუციასთან, ამ კანონთან, აფხაზეთის კონსტიტუციასთან, განიხილავს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო, რომლის გადაწყვეტილება სავალდებულოა შესასრულებლად ხელისუფლების ნებისმიერი ორგანოსათვის საქართველოს მთელ ტერიტორიაზე.

მუხლი 8. აფხაზეთის უმაღლეს სახელმწიფო ორგანოთა განსაკუთრებულ გამგებლობას მიეკუთვნება:

1) აფხაზეთის კონსტიტუციის, კანონების და სხვა ნორმატიული აქტების მიღება და მათში ცვლილებების შეტანა.
2) აფხაზეთის დასახლებული პუნქტების საზღვრების დაწესება და შეცვლა.
3) აფხაზეთის წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ხელისუფლების უმაღლესი ორგანოების მუშაობის წესის განსაზღვრა.
4) არჩევნების დანიშვნა ხელისუფლების უმაღლეს და ადგილობრივ წარმომადგენლობით ორგანოებში.
5) საქართველოს ერთიანი საგადასახადო პოლიტიკის საფუძველზე ბიუჯეტის შედგენა და დამტკიცება,ადგლობრივი გადასახადები და მოსაკრებლები
6) საერთო სახელმწიფოებრივი პროგრამების შესაბამისად აფხაზეთის ეკონომიკის განვითარების პრიორიტეტული მიმართულებების განსაზღვრა, თავისუფალ ეკონომიკური ზონების ჩამოყალიბება და განვითარება, საექსპორტოდ გასატანი პროდუქციის ლიცენზირება, სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის, სოციალური, ბუნებათსარგებლობის, გარემოს დაცვის პროგრამის შემუშავება და რეალიზაცია, ეპიდემიასთან და ეპიზოოტიასთან ბრძოლა.
7) კურორტების სანიტარული ზონის დაცვისა და მათი სამართლებრივი რეჟიმის დაწესება.
8) კარანტინისა და სტიქიური უბედურებების ზონების გამოცხადება.
9) კულტურის, ჯანმრთელობის დაცვის, ფიზკულტურისა და სპორტის აგრეთვე, ისტორიულ-კულტურული მემკვიდრეობის გამოყენებისა და დაცვის პოლიტიკის განხორციელება.
10) მოქალაქეთა უფლებებისა და თავისუფლებების დაცვა, კანონიერების, მართლწესრიგისა და საზოგადოებრივი უსაფრთხოების დაცვის განხორციელება.

11) აფხაზეთში შიდამიგრაციული პროცესების რეგულირება, ურბანისტიკისა და საბინაო მეურნეობის, მეცნიერულად დასაბუთებული დემოგრაფიული პოლიტიკის შემუშავება.
12) აფხაზეთის ტერიტორიაზე ეროვნული ენებისა და კულტურის ფუნქციონირებისა და განვითარების უზრუნველყოფა.
13) საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად აფხაზეთის სასამართლო ხელისუფლების ორგანოების შექმნა და ფუნქციონირება.
14) აფხაზეთის საპატიო წოდებების დაწესება და სხვა ჯილდოების დადგენა.

მუხლი 9. თავისი კომპეტენციის ფარგლებში აფხაზეთი დამოუკიდებლად ამყარებს ურთიერთობებს სხვა სახელმწფიოებთან და საერთაშროსო ორგანიზაციებთან - ეკონომიკის, სოციალურ-კულტურულ და გარემოს დაცვის სფეროში.

მუხლი 10. სამხედრო ნაწილების დისლოკაციის შეცვლა და სამხედრო სწავლების ჩატარება აფხაზეთის ტერიტორიაზე ხორციელდება აფხაზეთის ხელისუფლების უმაღლესი წარმომადგენლობით ორგანოსთან შეთანხმებით.

მუხლი 11. აფხაზეთის შინაგან საქმეთა მინისტრი ინიშნება საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის მიერ აფხაზეთის ხელისუფლების წარმომადგენლობით ორგანოსთან შეთახმებით.

აფხაზეთი ახორციელებს საპარლამენტო კონტროლს აფხაზეთის შინაგან საქმეთა სამინისტროს მუშაობაზე.

მუხლი 12. აფხაზეთის სახელმწიფო უშიშროების მინისტრი ინიშნება საქართველოს უშიშროების მინისტრის მიერ აფხაზეთის ხელისუფლების წარმომადგენლობით ორგანოსთან შეთანხმებით.

აფხაზეთი ახორციელებს საპარლამენტო კონტროლს აფხაზეთის სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს მუშაობაზე.

მუხლი 13. აფხაზეთის პროკურორს ნიშნავს საქართველოს გენერალური პროკურორი აფხაზეთის ხელისუფლების უმაღლეს წარმომადგენლობით ორგანოსთან შეთანხმებით.

მუხლი 14. აფხაზეთი მონაწილეობს იმ საკითხების გადაწყვეტაში, რომლებიც შედის საქართველოს პარლამენტის, საქართველოს უმაღლესი აღმასრულებელი ხელისუფლების და საქართველოს სხვა სახელმწიფო ორგანოების გამგებლობაში.

მუხლი 15. აფხაზეთს, თავისი ხელისუფლების უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოს სახით, აქვს საკანონმდებლო ინიციატივის უფლება საქართველოს პარლამენტში კანონპროექტის შეტანის გზით.

მუხლი 16. საქართველოს ხელისუფლების უმაღლეს წარმომადგენლობით და საქართველოს უმაღლესი აღმასრულებელ ხელისუფლებაში აფხაზეთის წარმომადგენლობის ფორმები და კვოტები განისაზღვრება საქართველოს კონსტიტუციითა და კანონებით.

მუხლი 17. საქართველოს კანონები სავალდებულოა შესასრულებლად აფხაზეთის მთელ ტერიტორიაზე, გარდა ამ კანონითა და აფხაზეთის კონსტიტუციით გათვალისწინებული აფხაზეთის უმაღლესი სახელმწიფო ორგანოთა განსაკუთრებულ გამგებლობას მიკუთვნებული საკითხებისა.

მუხლი 18. აფხაზეთი, თავისი ტერიტორიის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ინტერესებიდან გამომდინარე, საქართველოს კანონმდებლობის განუხრელი დაცვით, ახორციელებს ნორმატიულ რეგულირებას შემდეგ საკითხებში:

1) სოფლის და სატყეო მეურნეობა.
2) საშულო განათლება და პროფსიონალურ-ტექნიკური სწავლება.
3) კარიერები.

4) მელიორაცია.
5) საზოგადოებრივი სამუშაოები;
საზოგადოებრივი ქველმოქმედება და საქველმოქმედო დაწესებულებები.
6) ქალაქთმშენებლობა და და საბინაო მეურნეობა.
7) ტურიზმი, ფიზკულტურა და სპორტი, სასტუმროები; ბაზრობები;
8) მუზეუმები, ბიბლიოთეკები, თეატრები და კულტურის სხვა დაწესებულებები;
9) მუნიციპალური პოლიცია;
10) საზოგადოებრივი ტრანსპორტი, ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზები, წყალსადენი.
11) ნადირობა შიდა ტყეებში და თევზჭერა შიდა წყლებში.
12) სამედიცინო და სანიტარული სამსახური
13) სოციალური უზრუნველყოფა.

მუხლი 19. აფხაზეთის უმაღლესი სახელმწიფო ორგანოთა განსაკუთრებულ გამგებლობას მიკუთვნებული უფლებამოსილებები, რაც დადგენილია ამ კანონით არ შეიძლება შეიცვალოს აფხაზეთის უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს თანხმობის გარეშე.

ვახტანგ თორდია

იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი
1995 წელი